

579
1970

საბავშვო
გაზეთი



საბავშვო

1970 წლის 11 ნომერი

შიო ალივალი

თუთრად ქათქათებს მინდორი,
ბიჭო, რას უსი კერასა?
გამოდდი, გამოძვიგუღდი,
რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა!

რეპაზ მარშიანი

გარეთ გამოდით, გარეთ!
მთა-ბარს სინათლე მოხაფს,
ვახაროთ მშობელ მხარეს
ბაბუა ზამთრის მოხვლა!

ალექო შენგელია

ასე თეთრი, ასე კარგი,
სხვა ზამთარი არსად არი,
ტყემლის ხეზე დასაქარგი,
აპრილის თვის დასადარი.



როგორ გადაარჩინა მიხო შვილდაქმე ალუიკა

(ფანტასტიკური მოთხრობა)

ა. პოლოკოი

მესამეკლასელი მიხო შვილდაქმე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა: თბილისელი მოსწავლეებიდან, უფრო მეტიც, მთელი საბჭოთა კავშირის ბავშვებიდან მარტო მიხო ამოირჩიეს ვარსკვლავთაშორისო ექსპედიციის მონაწილედ.

ამას დიდი დამსახურება უნდოდა, ჩვენს მიხოს კი დამსახურება არ აკლდა: ბიჭუნას მთელი ფანტასტიკური რომანები სულ გადაბუღბუღებული ჰქონდა. კოსმოსური ხომალდების ასავალ-დასავალიც ხომ ხუთი თითივით იცოდა. ეგ იყო, რომ ვარსკვლავმფრენის მართვას ვერ დაიჩემებდა, მაგრამ ამაშიც მალე გაიჩაფებოდა.

ახლა ერთ საიდუმლოსაც გაგიძღვანებთ: მიხო შვილდაქმე იმიტომ როდი მიიწვიეს საფრენად, რომ დიდი მკოდნე იყო, არა,

ასეთი ბიჭუნები თბილისში რამდენიც გნებავთ, იმდენია. მიხო იმისათვის ამოირჩიეს, რომ იგი „ჩაძირობანაში“ საკავშირო ჩემპიონი გახლდათ. ხომალდის მეთაურს, ამხანაგ გაფრინდაშვილს კი ეს თამაში ყველაფერს გრჩია და უხაროდა, ფრენის დროს კარგი ამფსონი შეყოლებათ.

გაფრინდაშვილი მიხოს მშობლებს თავისი ფეხით ეწვია და შეეხვეწა, მიხო ჩემთან გამოუშვით სირიუსზე გასაფრენადო, მამა არ დათანხმდა:

— რამდენადაც ვიცი, კოსმოსური მოგზაურობანი მთელი ათეული წლები გრძელდება. მოიხედავ და, მიხო უკბილო ბებერი დაგვიბრუნდება, მას ჯერ სწავლა უდევს წინ, სკოლაში უნდა იაროს.

გაფრინდაშვილმა გადაიხარხარა:

11316



— ნუთუ ღღევანდელი მეცნიერება და ტექნიკა ასე ჩამორჩენილი გგონიათ?! ახლა უჩვეულოდ სწრაფად ხდება ყოველივე. ისე სწრაფად ვიფერნთ, რომ ორ კვირაში სირიუ-სიდან დავბრუნდებით. ახლა ხომ მაინც არ დადგებია...

მშობლები დაყაბულდნენ.

— თან არაფერი წამოიღო, — უთხრა მე-თაურმა მიხოს, — ყველაფერი იქ იქნება.

— სკაფანდრიც?

— სკაფანდრიც, — მიუგო გაფრინდაშვილმა.

რაკეტდრომიდან ვარსკვლავმფრენი „გაგარინი“ ერთი გუგუნით ავირდა, ხომალდის მფთაური — გაფრინდაშვილი, შტურმანი — გრიგალაშვილი, იუნგა — მიხო შვილდაძე — აი, „გაგარინის“ ეკიპაჟი.

მიხო ჯერ უსაშველოდ დამძიმდა, მერე კი ისე გამჩატდა, რომ ფარატინა ქალაქლი-ვით აფარფატდა და ხომალდის ქერს მიეკრა. შორს, ქვევით პატარა ბურთისოდენა დედაშიწა და ნამცეცვა მთვარე მოჩანდა. მიხო ილუმინატორის სქელი შუშიდან გაჰყურებდა სივრცეს და ფიქრობდა: ალბათ მთელი სამყაროს ბავშვები მე შემომნატრიანო.


— გესმის, მიხო, — უხსნიდა გაფრინდაშვილი, — ჩვენი ფრენა სადაზერვოა. შენაღირებულ ფიქრობენ, რომ სირიუსის ახლოს არის დასახლებული პლანეტა. ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, ასეა თუ არა. მერე კი მეცნიერები გაფრინდებიან...

მართალია, ხომალდში სულ სამი კაცი იჯდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი ხელსაწყოვებით იყო სავსე. ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულიყვნენ: ელექტრომთარგმნელი, ელექტრომათემატიკოსი, ელექტროექიმი. დიახ, დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, ნამდვილი ექიმი. იგი თავისი ლითონის ხელით სინჯავდა ავადმყოფს, უზომავდა სიცხეს, უსვამდა დიაგნოზს, წამალსაც კი თვითონ ამზადებდა.

ეკიპაჟის წევრები ფრენის დროს ავად არ გამხდარან და ელექტროექიმის დახმარებაც არ დასჭირვებიათ. ელექტრომთარგმნელს კი წუთით არ შეუსვენია: ჰყვებოდა და ჰყვებოდა ქართულად ნაირ-ნაირ ზღაპრებს. კოსმონავტებსაც რა მოაწყენდათ.

შტურმანი საკეს უჯდა. გაფრინდაშვილი დროდადრო მიხოს „ჩამირობანას“ ეთამაშებოდა. მიხო ჩემპიონის სახელს იცავდა და





ხომალდის მეთაურს იშვიათად თუ მოაგვბინებდა.

დღეები თვალისდახმამებში გადიოდა: მორიგეობა, ჭამა, ზღაპრების მოსმენა. „ჩაძირობანას“ თამაში, ძილი, და ისევ მორიგეობა... მიხომ ვარსკვლავმფრენის მართვა შეისწავლა და დიდი სიამაყით მართავდა კიდევ. ხუთი დღის შემდეგ ილუმინატორის შუშაში ცისფრად გამობრწყინდა სირიუსი.

— აგვისრულდა წადილი!— წამოიძახა გაფრინდაშვილმა.

შტურმანმა გრივალაშვილმა ასტრონომიული დაკვირვებანი ჩაატარა და დაადგინა: სირიუსის ახლოს ათიოდე პლანეტა უნდა იყოსო. ელექტრომათემატიკოსმა გამოიანგარიშა, რომ საცხოვრებლად ყველაზე ხელსაყრელი მგებთე პლანეტაა, რომელიც დედამიწის ხელააო. აი, სწორედ იქით აიღო გეზი „გაგარინმა“.

ვარსკვლავმფრენმა ძლიერად დაამუხრუჭა. ხომალდში უფერად ყველაფერს თავისი წონა დაუბრუნდა. და შტურმანს დიდი უბედურება შეემთხვა: გადაჩეული იყო სიმძიმეს და ისე გააქანა ფეხი, რომ უცებ ეღრძო. ელექტროექიმმა ნაღძობი გაუსწორა, ზედვაზელინი წაუსვა და შეუხვია. შტურმანს ხელსაწყოებთან ჯდომა შეეძლო, მაგრამ ხომალდში სიარული უჭირდა.

პლანეტას სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ. იგი საოცრად ჰგავდა დედამიწას მთებით, ოკეანეებით. ბოლოს ტელესკოპში ქალაქებიც გამოჩნდა, ზღვებზე გემები და ცურავდნენ, რკინიგზებზე მატარებლები დაჰქროდნენ...

— ვაშა, ვაშა, დასახლებული ყოფილა!— სიხარულით წამოიძახა მიხომ.

(დასასრული იქნება)

ცუდლუბი ობობა

საქართველოს
განმანათლებლო
სისტემის



პარკოზ ახვლედიანი

5-ნატი ზარბა ზორახიძის

სარდაფის კუთხეში, აგურსა და აგურს შორის რომ ერთი ხერხეია, ცხოვრობდნენ დედა-ობობა და მამა-ობობა. სამი შვილი ყავდათ და სამივენი პატარა ობობები იყვნენ.

როცა პატარა ობობები წამოიზარდნენ, მშობლებმა ცნობილ ობობა-ფეიქარს შიდაბარეს ხელობის შესასწავლად. აბა, ობობა რისი ობობაა, თუ აბლაბუდას ქსოვა არ იცის?!

ობობა-ფეიქარი დიდ სარდაფში ცხოვრობდა. სარდაფის ოთხივე კუთხე მისი და მისი მეგობრების ნახედავით იყო მოქარგული.


ორმა პატარა ობობამ უცებ ისწავლა ქსოვა. მესამე კი უნიკო გამოდგა—ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაუფლდა ამ ხელობას. ბოლოს მოებრდა და სარდაფში იწყო სეირნობა.

უცებ ბზური შემოესმა. დაინახა, აბლაბუდაში ბუბი ვახდართულიყო. მივიდა და გაკვირვებულმა ჰკითხა ბუზს—როგორ ბზუო?!

ბუბისათვის მეტად მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა და წამით შეწყვიტა ბზუილი. მერე უპასუხა:

— გამათავისუფლე და გასწავდი ბზუილსო. ობობამ იმ წამსვე გაათავისუფლა ბუბი და ბუზმაც მაშინვე შეასრულა დანაპირები—ასწავლა ბზუილი.

ის დღე იყო და, პატარა ობობა სადაც კი აბლაბუდას ნახავდა, შიგ ჩაჯდებოდა და ბზუოდა. ყოველი მხრიდან თავქუდმოგდევრდი გამოზობდნენ დიდი ობობები. თვალეს პირ უჯერებდნენ, როდესაც მსხვერპლის ნაცვლად პატარა ობობა შერჩებოდათ ხოლმე ხელში, გაწაბლებულნი და გაგულსებულნი ბრუნდებოდნენ უკან.



ზამთარი

გივი ძვალაძე

ცუგრუმედეები ქარსა და
ყინვას არ ერიდებიან,
კოტრიანობენ,
დახტინან,

ნახატი ვლ. აგაბაძისა

სიცხლით იგუდებიან!..
ჩიტებმა რა ჰქნან?
ჩიტები
სიცვივით იბუზებიან.

დეკლარაცია



თედო რაზიკაშვილი
(1869—1922)

ამ სათაურსიმეშ, ამტორის მოქალე ბიოგრაფიითა და სურათით, ზამოგაბმეშენებთ ხოლმე ლემსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს, რომლებიც დაიწება წინათ, მახარამ დღესაც ძარბია.

თედო რაზიკაშვილი ცნობილი საბავშვო მწერალია. იგი ძმთა ვაჟა-ფშაველასი და ბანახასი. მან ბევრი კარგი მოთხრობა, ლექსი და ზღაპარი დაწერა. ვებუღავთ ერთ-ერთ მათგანს.

რქიანი ბიჭი კი ამ ლაზარესკს უურსაც არ უტეებდა.

— რა გეკი ვარ ამ ცხრატვალა მხეში კარეთ ვიურუტო! მკონი იმდენი მტერი დამეხვითოს, ვერც კი დავუთვალა. ვის არ უუვარს ჩემი რბილი. უმჯლო სორცი! რა კარგია ნამიანი დამე! ისე დავსრიალებ სველ ბაღასზე, როგორც თვესი წყალში. მიუვარს ნამიანი ბაღასი, კომბოსტო, სვალთისა და ჭარსლის ფოთლები!

ლოკოკინამ დაიძინა. სანამ მხე არ ჩავიდა და მისი ციხე არ გავრილდა, აღბრ გამოღვიძებია.

ლოკოკინა



აცხა. რქიანი ლეგა ლოკოკინა შეიკეტა თავის ციხე-დარბაზში, ამოიქალა კარი და მოსვენებას მისცა თავი.

თავს უშიძრდა გრმობს, თუძცა მტერი ბევრი ჰეაეს. აი, თუნდა, თავკი. ბევრი უარა ნიქარას, კბილებით ღრღნა, ვადა-გორ-ვადმოავორა, მაგრამ ვერას ვამორჩა.

მუცელტიტეულა ვეინამაც მოხვია თათები, ჩაუო შიკ თავისი გრძელი ენა, მაგრამ ვერა ისუნსა რა.

— ჰაი, თუ კარში მოვასწრობ, შე თხუნ-ნია, შენა, მუდამ რომ დუქი გდის!—ბრახობდა ბუაუი,—შემპურაღსარ კირის ციხეში და კარები ჩავიკეტა.





დაღამდა. ლოკოკინამ თავისი ნახი კანით სიკრილე იკრძნო, გამოიღვიძა და გამოსწავლულად მოეშვადა.

ბნელი ცისიდან ჯერ ერთი რქა გა-მოჰყო, აქეთ-იქით ატრიალებდა, მალ-ლა იღებდა, მირს სრიდა. ერთ ბეწვს სმაწრობასზე უცებ კრუნისაგდა და მ-ლაგდა. მერე მეორე რქაც მიაოლა. ამ რქებს წვერებსზე შავი წერტილებივით თვალები ჰქონდა.

ლოკოკინს ცისიდან გამიძვრა. ნი-კარს სურვით გამოიტანა ღობის ქვე-

ლენინი და ბავშვები

ბ. კორუაშვილი

ლენინს ძალიან უყვარდა ბავშვებთან ყოფ-ნა. ბავშვებსაც უყვარდათ ლენინი. ხშირად ალაყაფის კართან მოიყრიდნენ ხოლმე თავს და მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის გამო-ჩნდებოდა ვლადიმერ ილიას ძე. გამოჩნდებოდა თუ არა, იმ წამსვე ყრამულით შემო-ღსვირინებდა. მერე ლენინიც მათთან ერთად დასვირინებდა კრემლის ეზოში, ხუმრობდა, გულიანად იცინოდა. თუ მანქანით მოადგე-ბოდა ალაყაფის კარს, ყველაზე პატარებს ხელში აიყვანდა და მუხლებზე დაისვამდა, დანარჩენები უკან დასხდებოდნენ მანქანაში და ასე დასვირინობდნენ.

თუ ვინიცობაა და, ვლადიმერ ილიას ძეს ალაყაფის კართან ბავშვები არ შეეგებებოდ-ნენ, ოგი თვითონვე მონახავდა მათ; კარგად იცოდა თუ სად დარბოდნენ და სად თამა-შობდნენ—რომელ სკვერში, რომელ ბაღში... სპასკის ქიშკართან თავდაღმართი იწყება, ტინიციის ხეივისაკენ რომ უხვევს, აი, თოვ-ლობისას აქ ციგაობენ ხოლმე ისინი...

ვლადიმერ ილიას ძე ხშირად აქ მოვე-კითხავდა პატარებს, სპასკის გორაზე, და ატყდებოდა ერთი ამბავი: ვინ ციგას სთა-ვაზობდა, ვინ—ციგურებს. გულს არავის სწყვეტდა. მივადგამდით რამდენიმე ციგას. დაჯდებოდა ვლადიმერ ილიას ძე, გამოვებ-მებოდით უკან და მივქროდით თავდაღმა.

ერთხელ კინაღამ ხათბაღას გადავეყარე. კვირა დღე იყო, ათი-თორმეტი წლის ოციოდე ბიჭმა კარგა მოზრდილი მარხალი დავეთრეთ და რის ვაი-ვაგლახით სასკის გორაზე ავედით. ავედით და სულიც არ მო-



მოდან და შწვანილების კვალში და-აკორა.

მიდიოდა ლოკოკინს და თან გზას დუკით ჰყენდა. ემინოდა, რომ უკან და-ბრუნების დროს გზა არ შეშლოდა და ადვილად ეხოსა მიწაზე.

იმ ღამეს ძალიან დრო გაატარა. ქორფა ფოთლებს სისინდა. შიგ ქუჩში უმერებოდა თავშეკრულ სწალათას და კომბოსტოს თავებს.

გათენდა და ლოკოკინსც ცისისაკენ გაემართა.



ნახატი ნ. შაქოვისა

გვითქვამს,—მარხილზე ვინც სად მოასწრო. და ისარივით დავეშვით. ყურებთან ქარი გას-
იქ დაჯდა. მერე მარხილს ორმა ხელი ჰკრა წივის, სახეში სუსხსა და თოვლს გვაყრის.

ციყვი

მზია ჩხაიანი

ისე შევინის გარჯა-შრომა,
სულ გინდა რომ უყურო;
თხილით, წაბლით, სოკოებით
აუესია ფულურო.

თავდავიწყებით, შურღულავეთ მიეჭრით...
უცებ, ზედ მოსახვევში აღამიანს გადავაწყ-
დით. ყველამ ერთბაშად ამოვიგმინეთ, — ბეწვ-
ზე გადავრჩით, კინალამ დავეჯახეთ .. და მე-
რე იცით, ვინ იყო იგი? — ლენინი.

ჩაუჭროლეთ თუ არა, ენაჩავარდნილებმა
მისკენ მოვამბრუნეთ თავები და ხეივანს შე-
ვეფარეთ.

უკან დარცხვნილები დავბრუნდით. არც-
ერთი ჩვენგანი ხმას არ იღებდა. ლენინი ხის
ძირას იღგა და გვიცდიდა. მივუახლოვდით
და თავჩალუნულები გაჩერდით. ვღგავართ
ასე თავაუღებლად და ხმას არ ვიღებთ.

ვლადიმერ ილიას ძემ გაიცინა:

— ციგაობთ, ჰა! აი, გიყურებდით და კი-
ნალამ გული გადამიტრიალდა, ხომ შეიძლე-
ბა, ხეს დაეჯახოთ!

— ჩვენ... იმას ვწუხვართ, რომ კინალამ
დაგვეჯახეთ!

ვლადიმერ ილიას ძემ გაიღიმა.

— არა, არა, თქვენ რა შუაში ხართ, ჩემი
ბრალთა. აქეთ არ უნდა გამომეცვლო. ხომ
უნდა მცოდნოდა, რომ აქ ციგაობენ...

ვლადიმერ ილიას ძემ ახლა ჩვენი მარხილი
შეათვალიერა:

— კარგია, არა, ამ მარხილით ციგაობა?
ოო, ეტყობა, კარგი იქნება!

ჩვენ გავთამამდით და ყველა ერთად ავლა-
პარაკდით.

— ჰა, რას იტყვით, შეიძლება თქვენთან
ერთად ვიციგაო?

რა თქმა უნდა, ვლადიმერ ილიას ძის ამ
სიტყვებს ერთი ჟრიაშულით შეეხედით.
ალბათ სპასკის გორაზე არასდროს უნახავთ
ასეთი ჟივილ-ხეივლი და მხიარულება. ვლა-
დიმერ ილიას ძეს დიდად მოეწონა მარხი-
ლით სრიალი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, 1924 წელს, უკვე
მძიმე ავადმყოფმა ლენინმა გორაკაში, თავის
ოთახში, საახალწლოდ ნაძვისხე დაადგმევინა
ბავშვებისათვის. ეჭიმები შიშობდნენ: ხმაური
გადადლისო ბეღლადს, მაგრამ ლენინმა თქვა:

— ნუ სწუხართ, ჩემთვის ყველაზე დიდი
დასვენება ბავშვებთან ყოფნაა.





— რას ეუბნება პატარას
ჩიტუნა ყელნაცარაო?
— რა მშვენიერი ენა გაქვს,
ნეტა მეც შემასწავლო!

კუკ კახიძე

ესო, მესო, ესო, მესო,
ჩვენი ბესო ვალბესო.
— ვინ გაგლახა, ჩვენი ბესო?—
ეკითხება მთელი ეზო.
— ვერა, ვერა, ვერ გაგიმხელთ,
როგორ, რეზო დავაბეზლო?!

თავაზი

— ლელვის ჩირის ასხმულაო;
რა ლამაზი ასხმულა ხარ?
— მერე, ჭამე, თამარ ქალო,
— არა, არა, ძმას ვუნახავ!

ჭუჭთი

მიჩი ჟიჟინაძე

ზამთარია, ზამთარია,
ბავშვებს თოვლი ართობს.
ჭრელი ბურთი ფანჯარაზე
ვლია მარტოღმარტო.
— ნეტავ თოვლის გუნდა ვიყო!
ნალვლიანად ნატრობს.



მამია



ზ ლ ა პ ა რ ტ

ზურაბ ახსნილამ ნახატები ზურაბ მამქარიამშვილინსა იუო და არა იუო რა, მზის უკეთესი რა იქნებოდა. ამ მზის ქვეშ, ერთ ტყის პირას, ლამაზ ქობში ცხოვრობდნენ: ბებია, პაპა და შვილი-შვილი.

ბებიას სახელად ბებია ერქვა, პაპას—პაპა, ხოლო შვილი-შვილს—მამია.

მამიას ისეთი თვალები ჰქონდა, ცოცხინათელე-ბივით ანათებდნენ.

ერთ ღღეს დიდი თოვლი დადო. პაპა ტყეში შეშაზე წავიდა. მთელი ღღე გავიდა და შინ კი აღარ დაბრუნებულა. რომ მოსილამოვდა, ბებიამ მამიას უთხრა:





— შენ დაწევი, ტკილად დაიძინე, მე კი წავალ და პაპას მოვძებნიო

— კარგოო,—უთხრა მამამ და დაიძინა, ბებია კი ტყისაკენ გაემართა.

გათენებისას, მამამ რომ გამოიღვიძა, პაპა და ბებია მოისაკლისა, მაგრამ შინ არც ერთი იყო და არც—მეორე. დაღონდა მამა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადასწყვიტა:—მოდი, მეც წავალ ტყეში. ჩემს საყვარელ პაპას და ბებიას მოვძებნიო.—ტანთ თბილად ჩაიცვა და ტყისაკენ გზას გაუდგა.

ტყე თეთრად იყო გადაბუნტილი, მამა კი მიდიოდა და მიდიოდა.



უცბად წინ მგელი შემოიყარა.

— მგელო, მგელო, — უთხრა მამამ, — ამ ტყეში ბებია და პაპა დამეკარგა, თვალი ხომ არ მოგიკრავსო?

— არაო, — უპასუხა მგელმა, თან გაიფიქრა: ეს რა კარგი საბილო ჩამივარდა ხელშიო, მაგრამ გოგონას თვალებმა შეაშინა, ციციანათელეებით რომ ელავდნენ. მგელმა იეშმაკა და ჰკითხა:

— კეთილო გოგონავ, მაგ თვალებში ციციანათელეების შუქი როდის ჩაიქრებაო?

— როცა დავიძინებო, — მიუგო მამამ და გზა განაგრძო.

რომ დაიღლება და ჩაეძინება, მამის შევსანს-ლავო, — გაიფიქრა მგელმა და ფეხდაფეხ აედევნა. მამის წინ დათვი შემოიყარა:

— დათვო, დათვო, პაპა და ბებია დამეკარგენ, თვალი ხომ არ მოგიკრავსო?

— არაო, — მიუგო დათვმა და თან გაიფიქრა: ეს რა კარგი საბილო ჩავგდებ ხელშიო, მაგრამ გოგონას თვალებმა შეაშინა, ციციანათელეებით რომ ელავდნენ და ჰკითხა:

— გოგონავ, თვალებში ნაპერწკლები როდის ჩაიქრებაო?

— როცა დავიძინებო, — უთხრა მამამ და გასწია.

რომ დაიღლება და ჩაეძინება, მამის შევას-რამუნებო, — გაიფიქრა დათვმა და ფეხდაფეხ აედევნა.

მიდის მამა, შორიასლოს კი მგელი და დათვი მისდევს. ცოტა იარა თუ ბევრი, წინ მელა შემოიყარა:

— მელა კულდგრძელივ, პაპა და ბებია დამეკარგა, თვალი ხომ არ მოგიკრავსო, — ჰკითხა მამამ.

— არაო, — უპასუხა მელამ, მერე მამის თვალებს რომ შეხედა, უთხრა:

— გოგონავ, ეს ციციანათელეები როდის გაფრინდებიანო?

— როცა დავიძინებო, — უპასუხა მამამ და გზას გაუდგა.

რომ დაიღლება და ჩაეძინება, მამის ჩავანატუნებო, — გაიფიქრა მელამ და მამის ფეხდაფეხ აედევნა.



მიღის მია და არც კი იცის, რომ შორიხლოს მგელი, დათვი და მელა მისდევენ.

სად იყო და სად არა, საიდანაც წითელგულა ჩიტი მოფრინდა. მიახს მხარზე დასკუპდა. მიახს სულაც არ გაჰკვირვებია, ჩიტები მიჩვეული ჰყავდა, დილ-დილობით საკენეს უყრიდა ხოლმე.

— კეთილო მია, საით გაგიწვებია, ვერა ხედავ, მგელი, დათვი და მელა რომ აგდევნებია? თვალი არ მილოლო, თორემ იმჟამსვე შეგჰამენო.

დაღონებულმა მიაიმ უთხრა:

— ჩემო საყვარელო ჩიტუნავ, ოღონდ ბებია და პაპა მაპოვნინე და ჩემ თავს არ ვწუხვარო.

— ეგ ადვილი საქმეა, ცოტას გაივლი თუ არა, ერთი ვეება დათოვლილი რცხილა შეგზვდება, გვერდზე დიდი ორმო, პაპა შიგ ჩავარდნოლა, ბებო მიშველებია და იმასაც ის დღე დასდგომიოა.

მია ორმოს თავს წაადგა და მოხუცებს ხაზს დახაზა:

— ნუ გეშინიათ, თქვენი მია ვარ, საშველად მოვედიო.

ესა თქვა და ისევ წითელგულა დააჯდა მხარზე:

— მია, აიღე ტოტი და ორმოში ჩააგდე. მერე უინვა ჩატებე, წყალი მიუგდე ორმოს და ნახავ, რაც მოხდებაო.

მია ისე მოიქცა, როგორც ჩიტმა დაარჩია და რას ხედავს: ორმოში თოვლი ვაღნა. ტოტმა ორმოში ჯერ ფეხებში გაიდგა, მერე ზრდა დაიწყო. ბებია და პაპა ხეს ამოჭყენენ და ორმოდან ამოვიდნენ. შვილიშვილი გულში ჩაიკრეს და გახარებულბებმა შინსაკენ გასწიეს.

მგელი, დათვი და მელა პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ.



უშიშარი მხადეარი

მეაღინ ჟარღინი

ბაბუმ ზაზა ცხენზე შესვა
და ცელქებიც მოვარდნენ,
ქრიაშულმა ესო შესძრა:
— ციცქნა ბრაგვანს მოადენს!

— რისი ციცქნა, ზაზა მქეია,
ცხრა შთან ფრენით გადავალ.
ცხენზე ჯდობა ნიშანია,
რომ მშიშარა არა ვარ.

ფესს არ დაუდგამ მიწაზე...

აქ თავდება სღანართი:

— ანუ! —

თქვა და იმწამსვე
მოადინა ტყანანი.



11316

ქოთანნი

არსგომ ქლანიძე

ნიკო და გია კოჭობანას თამაშობდნენ.
გია კოჭი რამდენჯერმე უჯეროდ ავდლო!
ნიკომ ჯერ ერთხელ აპატია, აქაო და, პატა-
რააო, მერე — მეორედ, მესამედ... ბოლოს ვე-
ლარ მოითმინა, გია რომ ვერ გაიმეტა, გაბ-
რაზებულმა იქვე ლობიოს ქოთანს ციცხვი
მიახეთქა, ქოთანი გაფორდა და გაიბზარა.

დღემ ეს რომ დაინახა, ჯოხს ხელი წა-
მოაფლო და ნიკოს შეფუტია:

— ბიჭო, ეს რა ჰქენი, გიამ გაგაბრაზა და,
ქოთნის რა ბრალი იყო!

ნიკომ თავს უშველა — მეზობლებში გაიქ-
ცა, გიამ ტირილი დაიწყო — ნიკოს მაგივრად
დღემ მე არ მცემოსო.

გიას დედას ქოთანი დაენანა, მაგრამ, აბა,
რაღას ვააწყობდა!.. აილო გაბზარული ქოთა-
ნი და ბუხრის თავზე შემოღგა, ბებია მოვა
და კირხსნარით გაამთვლებსო.

ბუკჩინი

ქვეყნები



გზა მომეცი მურია,
ბებოს წყალი სწყურია.
ლილი მოგაბაჟილი

ამოცანები

ღეღი, ღეღი, ოღეღა.
თავი — გოგრის ოღენა.
თვალი — საცრის ოღენა.
ღლისით ვერ იხედება,
ღამით ტყე-ღრეს ეღება.

თინათინ კვიციანი


სახლი ვარ, სახლის გულში ვარ,
ძლიერ ვუყვარვარ პატარებს;
არ დაგზარდებით დიდებსაც,
— ბევრით და ქვევით გატარებთ.

მალა ბლიაძე



ეს ცხოველები საკმელს
პირს არ აკარებენ. რატომ?

თავი სარა პეპე




ჩვენი ჭრელა

მაჩი აბრამიშვილი

მოაბღელა ჭრელამ ჭიშკარს
და გავუღე ჭიშკარი,
გაბერილა, გაბარულა,
რძით გავსია ჯიჭანი,
ყველი, ერბო და მანონი—
ყველაფერი იქ არი.

ზ მ მ კ ა რ ა ი



შავიანი რედაქტორი: ვახტანგ ავალიანი

ბიბლიოთეკის მისამართი: ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, 156-157 კმ. ნომერი: 211-10-10, 211-10-11, 211-10-12, 211-10-13, 211-10-14, 211-10-15, 211-10-16, 211-10-17, 211-10-18, 211-10-19, 211-10-20, 211-10-21, 211-10-22, 211-10-23, 211-10-24, 211-10-25, 211-10-26, 211-10-27, 211-10-28, 211-10-29, 211-10-30, 211-10-31, 211-10-32, 211-10-33, 211-10-34, 211-10-35, 211-10-36, 211-10-37, 211-10-38, 211-10-39, 211-10-40, 211-10-41, 211-10-42, 211-10-43, 211-10-44, 211-10-45, 211-10-46, 211-10-47, 211-10-48, 211-10-49, 211-10-50, 211-10-51, 211-10-52, 211-10-53, 211-10-54, 211-10-55, 211-10-56, 211-10-57, 211-10-58, 211-10-59, 211-10-60, 211-10-61, 211-10-62, 211-10-63, 211-10-64, 211-10-65, 211-10-66, 211-10-67, 211-10-68, 211-10-69, 211-10-70, 211-10-71, 211-10-72, 211-10-73, 211-10-74, 211-10-75, 211-10-76, 211-10-77, 211-10-78, 211-10-79, 211-10-80, 211-10-81, 211-10-82, 211-10-83, 211-10-84, 211-10-85, 211-10-86, 211-10-87, 211-10-88, 211-10-89, 211-10-90, 211-10-91, 211-10-92, 211-10-93, 211-10-94, 211-10-95, 211-10-96, 211-10-97, 211-10-98, 211-10-99, 211-10-100.



საქ. კ. ტყეა
გამომცემლობა
ქუთაისის
საბავშვო ბიბლიოთეკის
სამაგისტრო განყოფილება



76055

წამთარი ხოფლად—ნახ. ფიქ-
რია მეგრელიშვილისა, 8 წლის,
სამტრედიო.

გახეიწება თოვლში—ნახ. თა-
მარ ბაქრაძისა, 6 წლის, თბილი-
სი.

ცივაობა—ნახ. გელა გულბა-
თაშვილისა, 9 წლის, თბილისი.
თოვლის ბაბუა—ნახ. მათა ჩხაი-
ძისა, 5 წლის, თბილისი.

წამთარის პეიზაჟი ღამით—ნახ.
ირინა ჯანჯალიასი, 6 წლის,
თბილისი.

